

სიკვდილი



ნ. ა. ჯ. ლომოვანი

— იჩქარე! ხომ იცი, ახლა ღვთაებებზე რა ამბავია?!

საახალწლო საღებავი

მე ვისურვებდი, რომ საქართველოს
მზეს უქმად არვინ ეფიცებოდეს,
გმირული შრომით გაჰქონდეს ლელო,
მხოლოდ ტრფობას არ ეფიცებოდეს!..

ახსოვდეს რჯული, გაჰყავდეს ხნული,
არ მოასვენოს ნამგალი, ცული!..
ბაღი ანცობდეს, კაცი კაცობდეს,
ჭირი გაგვცლოდეს, ღვინი დაგვცლოდეს!..

სუფრა სუფრობდეს, ბრძენი უბნობდეს,
ბრძენი უბნობდეს — ჭკუას უხმობდეს!..
ენგური ქუბდეს, თერგი ღმუოდეს,
მაჭარი ღუღდეს, ღველფი ღუოდეს!..

მზაკვარი წუხდეს, მგელი ყმუოდეს,
სიხარბე ღუმდეს — ცოტას ჰგუობდეს!..
ცული ელაგდეს, ცელი კიოდეს,
გული ღელავდეს, სისხლი ჰყიოდეს!..

ბაღი ყვაოდეს, ხარი ბღაოდეს,
ხვათი ხვაგობდეს, ჩვილი ღნაოდეს!..
წყარო დიოდეს, თესლი ღვიოდეს,
არვის შიოდეს, არვის სციოდეს!..

ადლი ადლობდეს, მადლი მადლობდეს,
რასაც ვფიქრობდეთ, იმას ვამბობდეთ!..
სახლი სახლობდეს, დახლი დახლობდეს,
კარგზე ვლალობდეთ, ცუდზე ვნაღვლობდეთ!..

შტერს არ ვუთმენდეთ, სუსტს არ ვულრენდეთ,
პირფერს და ორპირს კარს არ ვუღებდეთ!..
ბოროტს ვკიცხავდეთ, კეთილს ვიცავდეთ,
რასაც ვფიცავდეთ, სულში ვიწნავდეთ!..

ვერავს ვებრძოდეთ, უძლურს ვმველოდეთ,
გვიყვარდეს, გვწამდეს, გვსურდეს,
გავჯეროდეს!..
რისთვის ვიბრძოდეთ, ისიც ვიცოდეთ,
ერთურთს ვიცნობდეთ და პირვმტკიცობდეთ!..

თვალებს ვახელდეთ, მზაკვარს ვამხელდეთ,
განვმტკიცდეთ, დავდგეთ, შევეკრბეთ,
გავმხნევედეთ!..
ენაროს ჭერემს, ხევსურეთს, გრაკალს,
ეზარდოს ძელქვას, ცაცხვს, ურთხელს,
კაკალს!..

ემრავლოს დოვლათს — სათიბს და სამკალს,
ერწიოს აკვანს, ებრწყინოს ცარგვალს!

ალმანხორ თაჰაქა

ნახ. მ. აბაშიძისა



— წაგიყვანდი, ბაბუა, მაგრამ საახალწლო სუფრასთან მაგვიანდება!

ინტერვიუ ახალ წელთან

— როგორ შეიძლება ზოგიერთი სიძნელის დაძლევა?
ახალი წელი: გაიოღებას ვებრძოლოთ!

— ხმაურს როგორ ვებრძოლოთ?
ახალი წელი: უხმაუროდ ვაკეთოთ საქმე!

— წარმატებებს როგორ მივადწიოთ?
ახალი წელი: წამატებებს ვებრძოლოთ!

— დაგვიანების წინააღმდეგ მაგალითი ვისგან ავილოთ?
ახალი წელი: მე მომბაძეთ!

— უძილობით შეპყრობილთ როგორ ვუმკურნალოთ?
ახალი წელი: სამუშაო საათებში ძილის საშუალება არ მივცეთ!

ა. ვანჯომლითელი



ქვიშხეთის ზ-
სეზგას
ვხუჩრესკან

საიუბილეთ საუბარი სერგო კლდიაშვილთან

— ბატონო სერგო, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია, რომლის რედაქციის წევრიც წლების განმავლობაში ბრძანდებოდით, მოგესალმებათ და მოგილოცავთ თქვენი დაბადების ოთხმოცდამეათე წლისთავს და ამავე დროს ახალი, 1984 წლის დადგომას!

— მადლობას მოგახსენებთ! მეც მოგილოცავთ ახალ წელს და „ნიანგის“ სამოცი წლის იუბილეს, თუმცა... მგონი, ნიანგი უფრო მეტი ხნისაც უნდა იყოს!

— ჩვენ წლებს ვითვლით მას შემდეგ, რაც ჟურნალს „ნიანგი“ დაერქვა.

— კეთილი, მაგრამ მე რომ სახელი გამოვიცვალო და ვარლამი დავირქვა, ვითომ წლები მომაკლდება?! მეტი არაა ჩვენი მტერი!

— თქვენ შემოქმედებითი შრომის ხანგრძლივი პერიოდი განვლეთ, რასაც უსათუოდ ფიზიკური ძალაც ესაჭიროებოდა! ჯანმრთელობას ხომ არ უჩიოდით ოდესმე?

— საჩივარი?! რა ბრძანებაა! ჩემი ხნის ადამიანმა ჯანმრთელობას რომ უჩივლოს, ინტრიგანობა იქნება!

— ალბათ იცავდით რეჟიმს, დიეტას...

— არა, ბატონო, ტყუილს ვერ ვიტყვი: სმის მოყვარული კაცი არ ვყოფილვარ, მაგრამ დამიღვია და სიმთვრალეც გამომიცდია, თამბაქოს წევა კი ადრე, გიმნაზიაში დავიწყე, ვეწეოდით ცოტას; სტუდენტობა რომ გავხდი, პატარა მოვუმატე, როდესაც დავამთავრე, კიდევ უფრო მეტის მოწევა დავიწყე; ახლა, როდესაც ოთხმოცდაათი წელი შემისრულდა და ოპერაციაც გავიკეთე, გადავაგდე სიგარეტი! ასე რომ, თამბაქოს წევის საიუბილეთო წელიც შემისრულდა — სამოცდათხუთმეტი ისე, მართალია რომ თქვას კაცმა, მოწევის ხურვილი ახლაც მაქვს!

— რას გვეტყვით ცხოვრებასა და ადამიანის მიზანზე?

— ადამიანის სიცოცხლე წლების სიმრავლით არ იზომება! საქმე ისაა, რა გააკეთე ერთი სიტყვით, ცხოვ-

რება მოთხოვნიანათა, რომელიც ფორმათა რაოდენობით კი არ ფასდება, არამედ შინაარსით. რაც შეეხება ადამიანის მიზანს, ჩვენი დიდი ნიკოლოზ ბართაშვილის აზრს მივყვები და ვიზიარებ: ადამიანმა სოფლისთვის უნდა იზრუნოს, ყველა სხვა შემთხვევაში იგი მკვდარს ემსგავსება!

— თქვენი გეგმები?
— ახალგაზრდობის საკვები — იმედებია, მოხუცებულობისა — მოგონებები, ამიტომ მეც მოგონებებს გეაზღვებთ. ჩემი ქვეყანა ალბათ მიყვარს და ამ სიყვარულის ცენტრი ჩემი სო-

ფელია, მამისეული სიმონეთი და ჩემი დედუღეთი კიცხი. იმდროინდელი ხალხი ახლაც თვალწინ მიდგას, მინდა მათი პორტრეტების შექმნა, მათი ხასიათების დახატვა, ვოცნებობ სიმონეთში და ჩემს დედუღეთში, ბაბუაჩემის, პავლე მაჭავარიანის, სახლში ჩავჯდე სამუშაოდ.

— თქვენს დიდ მამას ქართველ სერვანტესს უწოდებენ, რა თქმა უნდა, იუმორით სავსე კაცი ბრძანდებოდა ბატონი დავითი. ამ მხრივ რამეს ხომ არ მოიგონებთ მამათქვენზე?

— კი, ბატონო, მართალი ბრძანდებით, მამაჩემის შე-

მოქმედება კომიკური სიტუაციებით, ეუმორითა და სატირითაა სავსე, მაგრამ, ეტყობა, მისთვის ეს უფრო ტრაგიკული იყო, ვიდრე კომიკური, რადგან მამა მეტად სერიოზული და სევდიანი დამამახსოვრდა, ვიდრე ხუმარა და მხიარული.

— ბატონო სერგო, ოცდამეერთე საუკუნემდე სულ რაღაც თექვსმეტი წელი დარჩა. ვისურვებდი, რომ იმ საუკუნეშიც შევხვედროდით ერთმანეთს!

— როცა კაცი სიკვდილზე შიშით ფიქრობს, ის ვეღარაფერს გააკეთებს! მე კი მოგახსენეთ, რომ კიდევ მაქვს გეგმები. ისე კი მაინც და მაინც ნუ დაველოდებით ოცდამეერთე საუკუნეს, მანამდეც რამდენჯერმე შევხვდეთ და ვისაუბროთ!

— რას უსურვებდით „ნიანგის“ მკითხველებსა და ჩვენს ხალხს ახალ, 1984 წელს?

— ბევრ სიკეთეს და კიდევ — მათაც ეკეთებიანთ სიკეთე, მაგრამ ნუ იფიქრებთ, ეს ადვილი საქმეა! არ გამოდის, ბატონო, ფეხის ფეხზე გადადებითა და გულხელდაკრეფით სიკეთის გაკეთება! საკუთარი საქმის სიყვარული და თავდადებაა საჭირო! ადრეც მოგახსენეთ, ოპერაცია რომ გამიკეთეს; ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემს ქირურგს — თენგიზ ახმეტელს ვუხდი დიდ მადლობას! მისმა მადალმა პროფესიულმა ოსტატობამ მაჩუქა სიცოცხლე, ამას კი დიდი შრომით მიაღწია. ახლა თენგიზ ახმეტელი ოპერაციებს კი არა, სიკეთეს აკეთებს! ასეა, ჩემო ბატონო, კაცმა დანაც კარგი საქმისთვის უნდა აიღოს ხელში!

— ნახვამდის, ბატონო სერგო, და გისურვებთ ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს!

— ნახვამდის, ჩემო ბატონო, და გისურვებთ ტკბილ სიბერეს!

იუბილარს ესაუბრა ბარი მებრძველი



ნახ. ვ. ვოროჲნიძისა

ახალი წელი: — კი, მაგრამ, მე რას მიპირებენ?
— გული ნუ დაგწყდება, მაგათ თავიანთი კალენდარი აქვთ, გაკეთებული საქმით ითვლიან წლებს!

როგორ დავაგზადოთ გოზინაყი

გოზინაყის დამზადებაში აუცილებლად ოჯახის ყველა შრომისუნარიანმა წევრმა უნდა მიიღოს მონაწილეობა! პირველ ეტაპზე, მამამ უნდა იზოვოს თაფლი და ნიგოზი! თაფლი, რასაკვირველია, ნატურალური უნდა იყოს! ამისთვის კი საჭიროა, რომ მეფუტკრე თქვენი ნატურალური სისხლით ნათესავი ან ფიცვერცხლნაჭამი ძმაკაცი იყოს. თანაც მან თაფლი სკიდან თქვენი თანდასწრებით უნდა ამოიღოს. მეორე ეტაპია ნიგოზის შოვნა. ყოვლად დაუშვებელია, ისეთი ნიგოზის ყიდვა, რომელიც 20-25 მანეთამდე ნაკლები ღირს: წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია აუცილებლად განსეთქილება მოგივით, რაც, რა თქმა უნდა, ახალ წელს არასასურველია! თუ ყოველივე ეს შეძლო, გმირ მამას უფლება აქვს ცოტა ხნით სავარძელში მოისვენოს და ასპარეზი დიასახლისს დაუთმოს!

ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ბრძოლაში ქმრის მშობლებსაც ჩააბამს. კერძოდ, მამამთილს კაკალს დაამტვრევენებს, დედამთილს კი ნიგოზს წვრილად

დაჭრევენებს. ამავე დროს იგი მოიგერიებს შვილების ავაზაკურ თავდასხმებს ტკბილულზე, შემდეგ კი ყველა სადავეს თავად იგდებს ხელში და შეუდგება საქმის დაგვირგვინებას — მოხალაუს ნიგოზს, გააცხელებს თაფლს და შეურევს ერთმანეთს. აი სწორედ აქ უნდა ჩააქსოვოს მან მთელი თავისი ქალური სიღამაზე, კდემა, ნებისყოფა, ჭკუა და გონება!..

განსოვდეთ, გოზინაყის კლასიკური რეცეპტი ასეთია! იგი უნდა იყოს თაფლივით ტკბილი, ნიგოზივით გემრიელი და შეიძლებოდეს მოკუჩანც!

მაშ ასე, გოზინაყი უკვე დამზადეთ! იმის გასარკვევად, თუ როგორი გამოვიდა გოზინაყი, არსებობს ერთი ძველებური, ნაცადი, მეტად მახვილგონივრული ხერხი: უნდა გასინჯოთ იგი! თუ ვინც ცოტაა მოხდა სასწაული და ჩვენნი რეცეპტით დამზადებული გოზინაყი კარგი გამოვიდა, იმედია, არც ჩვენ დაგვივიწყებთ და ცოტაოდენს მოგვიკითხავთ!

ზაზა ჭინჭლაკი

სვანი მეკვლე ილოცება:
„რანგით ავსებს დრო ფიალებს!
სამძიმ დროშია თუ სადმეა,
ჩემი „ლემიც“ მოფრიალებს!

მე მოვდივარ შუშერიდან,
განა სადმე გადაღმიდან!
რწმენა მქონდა მუდამ ფარად,
სიყვარული — გზად და ხიდად!

ენგურჰესის ძუძუ ყარო
უშველშია საძებნელი!
არასოდეს არ იქნება
ლილეს ხალხის გზაზე ბნელი!

საქართველოს საგანძურის
სამალავიც აქ ყოფილა!
მზის სიმღერის აკორდებიც
სვანურ ჩანგზე აწყობილა!

ახალ წელსაც მე გილოცავთ,
ვარ ამისთვის ჩამოსული!
დაგელოცოს საძირკველი
და სიმღერა ჯადოსნური!

მზეგრძელობა რომ გისურვო,
ეს ხომ ზრდაა და მატება!
მეტი შვილი! — აი ჩვენი
ბიბლია და დაბადება!

სამსხვერპლოზე ჩვენზე მეტი,
აღბათ, არვინ არ ასულა,
მაგრამ კარი, ძმისთვის ღია,
მტრისთვის მუდამ ჩარაჭულა!

სამშვიდობოდ რეკავს ზარი:
იმრავლოსო ივერიაში!
საახალწლო სურვილებში
მშვიდობა ხომ პირველია!

ნარინჯები, თურინჯები,
წლებანდელი, სამერმისო!..
ჩაი, ხილი... და მით უფრო,
სიმრავლეა ხსნა ერისო!

ბევრი კარგი სიტყვის ვარდა, —
აგრემც თუთრად დაგვათენოს, —
ბევრი კარგი ღვიძლი შვილიც
უნდა დედა-საქართველოს!

ვარ ცოცხალი მაგალითი —
ხომლის მამა-ხარძიანი!..
ვაჟაკობას მაშინ ვიქებ,
თუ ჩემსავით ხარ ძიანი!

ნიგურიანს, დავითიანს
დიდება და აღმატება!
მეტი შვილი! — აი ჩვენი
ბიბლია და დაბადება!

ნიანგსა ვსთხოვ, მოგაწვდინოს
მამულს სიტყვა ჩამოსხმული:
საქართველოს ვლოცავ სვანი,
მთიდან ბარად ჩამოსული!”

ყ. აბოქაძე

ნათქვამი ქალაქის ქაჯთა?

რჩევა-დარიგება ოჯახებს

დილით სამსახურში მეკვლესავით გამომეცხადა უცნობი ქალიშვილი და სახეგანათებულმა ვარდისფერი კონვერტი აზიზად გამომიწოდა.

— ალბათ პროტექტორისგანაა, რაღაცას მთხოვენ! — ვფიქრობ დაბოღმილი, ცან კონვერტს ფრთხილად ვხსნი.

„გთხოვთ გვეწვიოთ ჩვენი შვილების ნოდარისა და ნორას დაბრუნებით ქორწილზე!“ — ლამაზადაა დაბეჭდილი ქათქათა ცარცას ქალაღზე.

— რაა?!..

— გეპატიუებიან, ბატონო, ლხინია! — მანსენებს ქალიშვილი.

არა, თვალი არ ნატყუებს! — თეთრზე ნამდვილად წერია შავად — „დაბრუნებით ქორწილზე...“

დიღხანს ამაოდ ვიმტვრევ თავს ნათქვამის განმარტებისათვის, ამასთან ქართული მჭევრმეტყველების ახალი იშვიათი ნიმუში მაოცებს.

ისევ ვძაბავ გონებას!.. თავში მრავალი დასაშვები ვარიანტი ირევა. ბოლოს, დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ, ცხადი ხდება ყოველივე: მთელი სიღრმით ვწვდები ტექსტის დედაარსს. თავგაბრუებული ძლივს ვაგინსენებ, რომ თათბირია დანიშნუ-

ლი. თანამშრომლებს დიმილით ვუთითებ ორად გაკეცილ ცარცის ქალაღზე. ბარათი ხელიდან ხელში გადადის. ერთი იცინის, მეორე ხარხარებს, ზოგი დაბნეული მომჩერებაია!..

ანაზღად კარს აღებს უცნობი ახალგაზრდა, მეტისმეტი თავაზიანობით დებს მაგიდაზე უმარკო კონვერტს.

— აუჰ!.. ისევ!.. ქორწილია თუ?!.

— ქეიფია, ბატონო, ქეიფია!.. აბა, უბედურება ღმერთმა გვაშოროს! — თაფლად იღვრება სტუქმარი და ისე კმაყოფილი გადის. თითქოს სამახარობლოდ საჩუქარი მიეღოს.

„გვაქვს ჩვენი შვილების ბუთუთას და ოფელიას მოყვანითი ქორწილი, გთხოვთ...“

არა, მხედველობა არც ახლა მღალატობს. ესეც თეთრზეა გამოყვანილი. მეორე ბედნიერი აღმოჩენით გახარებული თათბირს საოცარი სიჩქარით ვამთავრებ. ყველა შინ მიდის. ჩემი შემოქმედებითი სამუშაო დღე კი ახლა იწყება. ლაღად მოზღვაგებული აზრი რომ არ დამეფანტოს, სწრაფად ვინიშნავ უბის წიგნაკში: „ქორწილი ორნაირა — ერთი, ჩვეულებრივი, ტრადიციული — იგივე მოყვანითი, როცა ოჯახში პატარძალი შემოიჭყავთ, ხოლო მეორე — ახალგაზრდობის მამისეულ სახლში

მიპატიუების აღსანიშნავი, ანუ დაბრუნებითი.“ ამასთან საღი ფანტაზია თავისთავად მიკარანხებს თამამად განვაცხადო ერთი საკუთარი მოსაზრება: იმ შემთხვევაში, როცა სადედოფლო მშობლიური სახლიდან გაპყავთ, სასურველია, საზეიმო ვახშამს ეწოდოს გაყვანითი ან წაყვანითი ქორწილი. ამით კიდევ უფრო გამდიღრდება მშობლიური ყოფითი ტერმინოლოგია და საქორწილო ნობათების „მენიუტ“ გამარავალფეროვნდება. ამას უღაგოდ დიდი მნიშვნელობა აქვს წინასწარი განწყობისა და სავიზიტო ღირებულების განსაზღვრისათვის.

მაშ, ასე, ძვირფასო ოჯახებო! როდესაც შვილების ბედნიერების დღეს სტუმრებს მიიპატიუებთ, არ დაგავიწყდეთ მიწერა, როგორი ქორწილი გაქვთ — მოყვანითი, გაყვანითი თუ დაბრუნებითი?.. რაც შეეხება ავტომანქანის, ავეჯის (აგრეთვე შვილის) შექენის, ანდა ახალსახლობის, დაბადების დღის, სამხედრო სამსახურში გაწვევისა და იქიდან შინ მშვიდობით დაბრუნების აღსანიშნავ ვახშამ-წვეულებებს, შეგიძლიათ მოსაწვევ ბარათზე უბრალოდ, ზოგადად აღნიშნოთ: „გთხოვთ, გვესტუმროთ ვახშამა!..“

ანჴორ ბარამია
(ქ. ჴუგდიღი)

ნ.ხ. ლ. ჴარაფიშვილისა



უსიტყვოდ



— აბუა, ნაძვის ხე რ იქნა?
— ნაძვის ხეს დაგიხატავ!

ის იღვა მძიმე „წითელმა წიგნმა“, რომელიც თავმოყრილია ცნობები იმითა და გადაწყვეტილებების პირას მისულ ცხოველთა და მცენარეთა სახეობების შესახებ. წიგნის მიზანია დავიცვათ, დაღუპვის გადაფარებით ისინი!

ამ წიგნში ვამახსენა, რომ არსებობენ დღემდეწარმოადამიანის მსგავსი მაიმუნები, რომელთა ზოგიერთი სახეობა დღევანდელია, და ისიც, რომ არსებობენ აგრეთვე მაიმუნის მსგავსი ადამიანები, რომლებიც, აღზნად დიდხანს აღარ იხივებიან ჩვენ შორის, მაგრამ რომელთა „დოკუმენტური“ შემონახვა არ უნდა იყოს მომავალი სცილოლოგებისათვის ინტერესის მქონეული.

თვენი არ ვიცი და მე კი შემხვედრია ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად უცხო ფენონები.

მართლაც, ვინ უნდა მივაფიქროვოთ ტიპი, რომელსაც შეხვდეთ და გარგნულად — კაცია, ადამიანი; ხელთი — მცვეთა; მტაცებელი; მკვეთი — მელაა; ტვირთი — ამება.

აქვს:
სმენის ორგანოები, მაგრამ ყურა — ადამიანური არაფერი ესმის; ხედვის ორგანოები, მაგრამ ბრმა — კერ ხედვის თავის სივრცეზე; გემოვნების ორგანოები — პირის გემო არავი აქვს; შეხების ორგანოები — შეხების ვერ იტანს;

ყნოსვის ორგანოები — საოვიარი ყნოსვა აქვს სიტუაციისა.
ახლა მითხარინო, ვინ არ ან არის იგი? ადამიანი? მცვენი? თუ ერთიც და მეორეც ერთად? აღუთხარ ასე!
დავარტყათ პირობითად ამ უცხო ფენონებს. ადამიანი — მსვეთი.
ვინ შეიძლება მივაფიქროვოთ ამ კატეგორიას?

ანიონისტიკი, ანგარი, ალკოჰოლიკი, ავთა, ბანდერი, ბიოურკრატე, ბაქია, გამომძაღველი, გულგრილი, გამფლანგული, გამფენი, გამფეხა, დამტაცებელი, ფეშაფეგი, ფოლადია, ვეოსტიკი, ზარბაქი, თაღლითი, თვალისმამუევი, ინტრაიანი, კომინატორი, კანორის-

„უპვეხნატი „შაპი ნიგნი“!

საკითხის დასეს წასი

ბო, კერძოშაქუთო, კუთხურკანავეტილი, ლითი, მუქაბარა, მუკრობამე, მომხვეველი, მლიტნული, მამებელი, მოლაგებ, მუშანი, ნარკომანი, ნიონილიტი, ოზივტელი, პროტექტორი, პროტექტა, პირველი, პეტეფორე, პროვოკატორი, პლეგატორი, რეიდვისტი, საქონანი, საეკულოტი, უსაკმური, უდისციპლინი, უფარათო, ფრაზიორი, ფორმალისტი, ჭრდი, ებლი, ელთაბანდენ, მანტაგისტი, ილიისმწამებელი, ცინიონი, წამლევი, ჭოროკანა, ხელირანი, ვიბიტი...

ზომ ყველა მიაგანი მიეკუთვნება „იშეთია და გადაწყვეტილების პირას მისულ“ ადამიანებს ხეცებს, კოლა, დავიწყით შედგენა ახალი წიგნისა. იყის იგი „შაპი“ (სხვა ფერი მათ არ მიესადაგება).

მასალა, როგორც ხედავთ, საკმაოადა, ანალოგიცი ვაგვებს.

პირველ ანტებს მე შემოეთავდაზებთ, დანარჩენი თქვენსე ხელს.

მამ ასე, დავიწყით მქვრთამით!

კამანი — შუევი
L'ALORE — ახობი.
Homo — bestia.
რიაი — მტაცებლები (carnivora);
ოჯია — ადამიანისებური (Homidae);
სტატუსი — შეტრამევი;
გარტელები — რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონი.
ავილსამუფუფელი, მათი ახლანდელი მფლობერობა — გენახსა ადამიანებით მწოდოდ დახაზულულ ადგილებს, სადაც თავმოყრილია ბევრი „ბელის მისახობის“ ობიექტი;

რისეყნობა ბუნებაში — ზუსტი ციფრო ჯერჯერობით დიდდგენილია, მაგრამ მუხადა ამ მიმართულებით გრძელდება. ერთი არა დადგენილი შეიძლება იტყვას: ვსუდგება მყრთაოდ და გადაწყვეტილების პირას მისული, მაგრამ ვაქმილად არ გადაწყვეტილება (გადააწყვეტილბობა);

გარკარება — ცნობილი მეთოდებით არ მრავალდება. მრავალდება და კარგი ციფრების“ ცფუთებით, განსაუტოებით სწრაფად კი — ისეთ ხელმწიფობ პირობებით, როგორცადა ვა-

რემსო მყოფთა დიფლადობია, ოჯახის წევრთა დიდინება (სკაიი არა ხარ? ვერ ხედავ; როგორ ცნობებს ხალხი?), სასტი ნებისყოფა (ერთხელ თუ შეერთო „პრკამალუი ძღვენი“, კერე მშვიდობით) და სხვაინ;

კინკურნებები, მტრები, დაავადებები — კონკურენტობა: კარიკონისტი, ჭრდი, მოქმეველი, ბიოურკრატე და მისთანანი; ისინიც მოითხოვენ თავიანთ ავიღებს „მისი კვეშ“; მტრები — ბატიონანი ადამიანები, სახალხო კონტროლის, შინაგან საქმეთა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები; დაავადებები — ნერვულობა, შიმ-ღვეობა, წსება, კუჭის აწლილობა, უძილო დაძებნე...

რისეყნობის ცვლილების მიზეზი — შეინიშნება კლბის ტენდენცია, მისი მიზეზი კი ჩვენის სინამდვილესთან ამ ფენონების „მუთავსებლობა“ და მისი საწინააღმდეგე, უფრო მეტად „პროგრესიული“ საშუალებების მომარტებაა;

ტყვეობაში მყოფთა რაოდენობა — მათი საკმაოდი დიდ რაოდენობა, ბაცილებით მეტი, ვიდრე იშვიათი მცვეთია, „მოუღებელია“ ცნობილად გაალებით, ზოგჯერ ახლი მომავალში იგვალანება ასეთი პერსპექტივა;

გამარტება ტყვეობის პირობებში — ტყვეობაში ვერ მრავალდება; **დახაკავად მიღებული შოშები** — მათთვის განტოტონილი „აბანიონის“ კვლად მკვიდრად არის ნაგები, ზღუდეების მაღალი აქვთ მომდებელი, ყველა გზა საიმყოფელ არის დაშლული, რათა მათში გაბაღულ „ბუღბუღებს“ მისხალად არ დააღდელო მათთვის განტოტონილი სახეულობისა;

დაიკის აუცილებელი ღონისძიებები — ფართო ახსნაგანტეგბობი მუშაობა მათი უფარი სასტიცილის შესახებ. თუ ეს არ გატრისი, მერე, როგორც აუცილებელი შოშა, — ბატიონანი საზოგადოებისაგან ოზოლორება. მათზე ნადირობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აირკადლოს, პირიქით, ყუველსმორე უნდა წავახალისობი;

ინფორმაციის წყაროები — პრესა, სასამართლო საქმეები, მიწიშა-მოთიშა...



— მოვიდა მოვიდა...
— ახალი წელი...
— არა, წყალი, წყალი მოვიდა...

მიკროლიკოზობი

— შეითხებებით ვადაულოტობი ბავშვი და რა ნიშანი უნდა მიელო?

— როგორ, ბევრი კითხვა მიუცათა!

— არა, მაგრამ თითო შეუთხების ხეუთყერ მიმტარებდნენ!

— ასეთი შეცდომისათვის უფლება გექვთ, მკაცრი განაჩენი გამოუტახოთ საყოთარ თვის!

— სამწუხრობად, მე არასდროს არ ვცდილობ უფლებების ბოროტად გამოყენებას!

— შეხედ, ბალო, როგორ დაუბარილობათი სუფარი!

— აჰ, ნაწიყარე! შეტო უსაქმური იქცაა!

ნაწული უპასიხუბილი
(ტურჩანისის რ-ნი)



გამი პირობისწული

საახალწლო ტელეიკი

სახელოვანი იუბილე

ამას წინათ თამბაქოს მწვეველთა საზოგადოებამ ფართო მასშტაბით აღნიშნა ამ საზოგადოების უხუცესი წევრის — ყაზბეგ წევციას დაბადების მეოთხმოცე და სივარუტის წევის სამოცდამეთორმეტე წლისთავი!

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

ფართო საზოგადოებრივ სათვის უცნობმა მწერალმა რამინ რომანიამ, როგორც იყო, შეძლო ბავშვობის დროინდელი ოცნების განხორციელება — დაწერა რომანი! მისი წიგნი ფანტასტიკურად სარეკორდო ვადაში — 1 საათსა და 30 წუთში გაქრა, რადგანაც ერთ-ერთ ორგანიზაციას მაკულატურის ჩაბარების გეგმა უჭირდა.

რჩევა-ღარიგება

თქვენმა შვილმა მუსიკის მასწავლებელთან რომ იაროს, ამისთვის მისი მუსიკალური ნიჭი სულაც არ არის აუცილებელი, საკმარისია თქვენი სურვილი!

განცხადება

მოგაწალი წლიდან აბიტურიენტებმა, სხვა საბუთებთან ერთად, აუცილებლად უნდა წარმოადგინონ დახასიათებარეკომენდაციები რეპეტიტორებისაგან! წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მისაღებ გამოცდებზე ჩაიჭრებიან!

საუბრაზე ეპიზოდური როლების შესასრულებლად კინოგადამღებ ჯგუფს სასწრაფოდ ესაჭიროება ერთი ხმო, ორი გოჭი და სამი ცხვარი!

გალსაზ ცოტაჰ

რატომელი შეხვდა

რატომელსა...

სახეშარო, გუდასტვირის გარეშე

რატომელი შეხვდა რატომელსა, უთხრა თავის გასაჭირი:
— დედა, ბოშო, მაროუკა, რა დღეში ვარ ჩავარდნილი! — ბიჭმა რძალუკა მომგვარა, ნეტავ, სულ არ მოეყვანა... თვალეები ჩაშავებია, ვალოდიკამ ცემა განა?!
— არა, ბოშო, არა, ბოშო, რაღაც ფანქარა ჰქონია, გაისმევს და გამოისმევს, იხიც მოდუკა ჰგონია... აბა, მე ქვე საღა მქონდა ან მაშუკა, ან კრასკუკა, თვალეები რომ დამეფხაქნა, ქვე გამლახავდა ქმარუკა... ტყავის პლაშუკა მომთხოვა, თურმე მოდაში ყოფილა, გამაყიდინა ღორუკა, ფული რომ აღარ ყოფნიდა... ჩემსუკეებიც მომთხოვა, ქუხლი აქვს, როგორც ნემსუკა... ვაი, თუ მალე გაუტყდეს, — თავზე დამეცეს მუხუკა!..

ნარგინა მებრეველი

(აღიგენის რ.ნი, სოფ. ჰეველა)



— ამ სიბერის დროს კრივში დაიწყო ვარჯიში?
— არა, ამადამ საახალწლო სუფრასთან თამადად არის მიპატიუებული!

მიკოლიალოგები

მეორეოდენი შენიშვნები

„საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ გამოცემით დიდი საქმე გაკეთდა! მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს მეცნიერებს გამორჩენიათ ფაუნისა და ფლორის გადაშენების პირას მისული იშვიათი ჯიშები!

ფაუნაში:

1. განტევების ვაცი;
2. ტროას ცხენი;
3. მამა აბრამის ბატკანი;
4. თეთრი ყვავი.

ფლორაში:

1. განხეთქილების ვაშლი. კარგი იქნება, თუ წიგნის მეორე გამოცემისას სარედაქციო კოლეგია გაითვალისწინებს ჩვენს შენიშვნებს!

დიდიკ პატარაია

— ქმარმა საახალწლო საჩუქარი მოგიტანა?

— არა, თვითონ ძლივს მოიტანეს!

— მამიკო, შენ ბუშტი ხარ?

— რას ამბობ, შვილო?!

— აბა, დედიკომ რატომ თქვა, მამაშენი ყოველ ახალ წელს სკდებაო?!

— მომილოცავს, მომილოცავს!

— რა, ახალი წელი?

— არა, მმართველთან რომ თამადად ხარ დაპატიუებული!

— მამი, ვიღაც აკაკუნებს, მეკვლე ვარო! გავულო კარი?!

— არა, შვილო! შარშანაც გავუღე და ანონიმკა დამიწერა, როგორ იყიდა იმპორტული ავეჯიო!

— მამი, ამ საახალწლო ტანსაცმელში ლამაზი ვარ?

— ძალიან!


— მაშ, დედა რატომ მეუბნება, სულ მამაშენს ჰგაეხარო?!

— გია, ნახე რა საჩუქრები მომიტანეს საახალწლოდ!

— ვინ მოგიტანა, თოვლის ბაბუამ?

— არა, ბაბუაჩემმა!

ვანო ცინცაჰ



დიდოსტატის



იუბილეს 100

სალადოგო ჩანახატი

კათილი, სანდომიანი სახის მოხუცს თოვლივით თეთრი ფაფუკი თმა-წვერი მკერდამდის სწვდებოდა, ქართული ჩოხა, ქამარ-ხანჯალი ლაზათს მატებდა მის ახოვან აღნაგობას. ნაბადმოხურულს, ავტოკალმისა და პასტის ნაცვლად, ქუდში ბატის ფრთა ჰქონდა გარჭობილი, ხელში ტყავის გრაგნილი ეჭირა.

— კონსტანტინე გამსახურდიას თავისი დაბადების 90 წლის თავზე ვყავარ მიწვეული!.. — მდინარე ზანას კითხულობდა პოეზიის მეფე — შოთა რუსთაველი.

ზანის პირას უშველებელი ეზოა, ჭიშკრიდან ისრის მისაწვდენზე კოლხური ოდა დგას. ეზოს გარშემო მდგარი კვიპაროსები სვეტებივით შებჯენია გარსკვლავებით მოჭედილ ცას.

ახალი მოვარე ჯერ არ გადასულიყო. ცას გადაჰკვროდა ორაგულის ქერეჭისფერი. ბავშვის უცოდველი სიზმარივით სპეტაკი ნისლი დაჰფენოდა ეზოს.

რიკულებიან აივანზე გამომდგარი კონსტანტინე ჩიბუნს აბოლებდა. ნამეტანი გაახარა საპატიო სტუმრის მოსვლამ. მოკრძალებული სალაში მიაგება და სახლში შეუძღვა. სულ მალე ჭიშკარს დავით აღმაშენებელი, გიორგი ჭყონდიდელი და მახარა მოადგნენ. ქუჯიზე ამხედრებულ დავითს სკვითია მარქაფად მოჰყავდა. სკვითიას უნაგირის ტანტაზე კონსტანტინესთვის ძღვნად მისართმევი ნივთი იყო მიკრული თასმით. მესტუმრეთუხუცესი ეზოში შეუძღვა სტუმრებს. იმატა მომსვლელთა რიცხვმა.

სულხან-საბა ორბელიანს 40 ათასი ქართული სიტყვა მოემწყვდია ოქროს ყდაში და უძღვნა კონსტანტინეს. მარჯვენამოკვეთილმა დიდოსტატმა და ჭომხიზღელმა შორენამ იუბილარს მიულოცეს დაბადე-

ბის დღე და საჩუქრად ოქროს ფურცლისაგან გაკეთებული სვეტიცხოვლის მაკეტი უსახსოვრეს. მონადირეთუხუცესს უამრავი ნადირი დაეხოცა და ჯორზე აკიდებული ნადავლით მოადგა ჭიშკარს.

მზემ შუბის ტარზე წამოიწია. ჭიშკარს ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი მოადგნენ. ვაჟამ გულში მაგრად ჩაიკრა კონსტანტინე და თეთრი ნაბდით დასაჩუქრა, ალექსანდრე ყაზბეგმა კი ხევისსარი გოჩას ნაქონი ვერცხლისტარიანი ხანჯალი ჩამოჰკიდა წელზე.

კეისრული სპილოს ძვლის ეტლით მობრძანდა მარიამ დედოფალი — ეკლესიათა დიდი მამაგე და ქვრივობოლთა გამკითხავი. საფირონებითა და წითელი იაგუნდებით შემკული წმინდა გიორგის ხატით დასაჩუქრა მარიამმა მწერალი. ეტლში მის გვერდით იჯდა გვრიტივით გატრუნული დედისიმედი.

გალაკტიონ ტაბიძემ მეგობრულად გადაჰკოცნა კონსტანტინე და სამახსოვროდ ჯიხვის ყანწები გადასცა.

აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე ერთად შემოვიდნენ. აკაკიმ ჩონგური აჩუქა სიტყვის დიდოსტატს. — ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო! — გაუღიმა.

ბესარიონ ჟღენტმა ღიმილით შემოაბიჯა ეზოში. ვაჟამ და კონსტანტინემ ერთმანეთს შეხედეს, ვაჟასაც ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე, — დღეს სტუმარია ის შენი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისაო!..

ტაია შეღია მეუღლითურთ ეახლა იუბილარს. თვალები დაუკოცნა. აღ-

ალი იყოს ჩემი ამაგი შენზე, ჩემო სასახელო აღზრდილოო! კონსტანტინემ გულში ჩაიკრა საჭკობელი მისი და, თავისი გავრდილისათვის აღისფერი კვიცი რომ მოეყვანა ძღვნად.

შამან თაკვერის ერისთავის ასული გვანცა შნოიანი ტანის რწევით შევიდა ეზოში...

კათალიკოსმა სუფრა აკურთხა და სტუმრები ზეწამოიჭრნენ. იგალობეს მწუხრის ფსალმუნი, ეპისკოპოსებმა და ბერებმა ჭყონდიდელს სთხოვეს, ეთამადა სუფრისათვის. ჭყონდიდელმა მოადგა გულბათ ჭავჭავაძე აირჩია. ოქროს დიდი სამწვეურით აღლევრძელა ჭყონდიდელმა საქართველო, მერე ჭინჭილა მოითხოვა და გულბათს გადააწოდა...


ზანის პირს ბევრი უცხოელი სტუმარი ეწვია. მზარეთუხუცესს გემოვნებას უქებდნენ. მაღიანად შეექცეოდნენ პილპილით, ნივრითა და ქინძით შეკმაზულ კოლხურ საჭმელებს. ჭიშკრითა ჯეირნის მწვადები, მრგვალად შემწვარი ხოსბები, დურაჯები, მოხარშული ორაგული და ციმორი, ხბოს ბეჭი, ახალი ქვირითი რიონის ზუთხისა, ირმის ცური და... ნეკნები...

მეორე დღეს ზანის მარჯვენა ნაპირზე გაიმართა ცხენოსნობა, ერთმანეთს ეჯობებოდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ცხენოსნები. მესამე დღეს კი კონსტანტინემ სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიაში გიორგობაზე მიიწვია სტუმრები. ეტლები, ორთვალეები, ურმები, ცხენები დაჯორგილიყვენ ტაძრის გარშემო... ხალხი ეკლესიაში ვერ დატეულიყო... გაჭექილი იყო უზარმაზარი ეზო და ქუჩა!..

ვაჟა ისაკიანი (ქ. აბაშა)



„ილუსტრაციები“ ჯ. ლილუასი



მამის საახალწლო წერილი შვილისადმი

რაც სოფელი მიატოვე,
დამავიწყდა შენი სახე!
წყალს ფეხებში მისხამს ცოლი,
ვენახვივით რომ არ გავხმე!

ერთხელ ოჯახს არ ესტუმრე, —
ასეთ მხარეს სად წახვედი?!
მწვადს გაჭმევდი! იმის მერე
ფხალზე ხომ არ გადახვედი?!

მითხრეს, ცოლი ვითხოვია,
ულოჯობას ხომ არ ჩვივით?!
შენს ლოდინში სოფლის გზაზე
თვალეები გვაქვს გადაღლილი!

ალარა ვკლავთ ღორს ახალ წელს,
არც ქათამს და ინდაურსა..
სახლი განზე გადისარა,
ქარში ცეკვავს „კინტაურსა“!

ტელევიზორს ვუყურებდით,
შენც გამოჩნდი ერთხელ, ვახო!
იქნებ ჩვენი ვაჭირვება
ეკრანიდან დაინახო!

მითხრეს, შვილს რომ ელოდები,
ისიც მითხრეს, არქმევ გოგის!
პიანინო, გვსურს, ვუყიდოთ
ბავშვს პენსიის დანაზოგით!

სახლში ვეღარ გნახულობენ
მეგობრები, თურმე, შვილო!
უმაღლესი დაამთავრე,
თუ კურსები სასირბილო?!

ხან გურია გელოდება,
ხან სვანეთი, ხან კახეთი!..
დეკრეტულში, ვერ გავიგე,
ცოლი გყავს, თუ შენ გახვედი?!

საახალწლოდ მაინც გვნახე,
არ დაგტოვებთ, გფიცავთ, დიდხანს,
თორემ თბილისს ჩამოვალ და
სახლში ძალით წამოგიყვან!

მაცივარი მაქვს!..

მაცივარი მაქვს მაღალი,
უყვარს ლალი ხმით ღაღანი.
შეხვედავ, ტანში მაცივებს!..
აბა, ვით არ ვცე თაყვანი?!

ვეღარ ავავსე ერთხელაც! —
ბაზრით ვერა ვარ ღონეზე! —
უნდა გადავჭრა „დონბასი“
ჩემი ხელფასის დონეზე!

ჩემალ კვირეჩხილაკ



ნახ. ზ. შორაბიძისა

— რა ქნას, აბა, საწყალ-
მა?! ავეკით ისე გამოტენა
ბინა, რომ დასაძინებელი
ადგილი აღარ დარჩა!

ქ რ ო ნ ი კ ა

ახალწლის კვირაძალზე ცნობილმა თამადამ ასკალონ ჩუშპაძემ
კიდევ ერთხელ და ამჯერად საბოლოოდ დაამტკიცა მშობლების უნაპირო
სიყვარული: მან სამლიტრიანი ყანწით დალია მათი სადღეგრძელო და
შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა!..

კველი წლის ბოლო შაბათს ცნობილმა იუმორისტმა ტურვასი არმე-
ხუმრებაძემ ბაზარში დაკარგა იუმორის გრძნობა იმ თუშნიანთან ერთად,
რომელიც ნახევარ კილოგრამ ნიგოზში უნდა გადაეხადა, ძებნამ შედეგი არ
გამოიღო: ბაზარში არავის არ აღმოაჩნდა იუმორის გრძნობა!..

ბარეუზნის სამკერველო გაერთიანების თანამშრომელთა საახალ-
წლო მეჯლისზე ამავე გაერთიანების დირექტორი ბერგსონ ჰკერვალიძე
გამოცხადდა კოსტიუმით, რომელიც ამავე გაერთიანებაში იყო შეკერილი!..

საკამოდ ცნობილმა მწერალმა სტივინბეკ ქარქაშაძემ, ძველით
ახალ წელს, ბოლოს და ბოლოს, შეძლო მკითხველთა ფართო მასების
აღფრთოვანება: მან საჯაროდ განაცხადა, რომ თავს ანებებს მწერლობას!..

ახალი წლის პირველ შაბათს მადლიერმა მძღოლებმა ამაღლეველები
შესვედრა მოუწყვეს განთქმულ ფეხით მოსიარულეს ევერესტ კორინთელს,
რომელმაც მსოლიდ მეოთხე კვარტალში სამჯერ ისარგებლა მიწისქვეშა
გადასასვლელით ვაის პარკთან.
ევერესტმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს ახალი წლიდან გადასასვლე-
ლი გვირგვინით სარგებლობა გმირთა მოედანზე, ცირკის მხარეს. მძღოლებმა
წარმატება უსურვეს გაბედულ მოგზაურს!..

ლერი ჩანტლაკა

832

1983

29. XII



ასე ტკბილად დამიჯარდი!

— სახალწლოდ სოფელში უნდა მესტუმროს! — შემომიწინდა თანაკურსელი და აღარ მომეშვა. წარმოშობით „სვეტი“ ვარ, თანაც — ნაღდი, არსად მიტყუდება! პროვინციას პატივს ვცემ იმდენად, რამდენადაც ცივილიზებულია მისი ყოფა და მოდერნიზებულია მცხოვრებთა საქმი- ელი. ამ გავებით ვაფასებ სახელმძაფრ. ფასანა- ური რაღაც კავშირს მიტოვებს ფაცანასთან, ფა- ცანა კი ქალაქის ატრიბუტია, საშური და საშიში საშის ასოციაციას იწვევენ და მით არიან სასუკვარნო, სადასლო დასლისა და მის ქვეშ გადაძალადი საქონლის შესხენებით მაწონებს თავს, სოლო სობი იგივე პობია რუსული ტრან- სკრიფციით. აი, შესმის მოდერნი! ჩემი თანა- კურსელის სოფელს კი ვომი რქმევია. რაგინდ შენნიერულადაც უკირსიტო, ამ სახელში ვოი- მის მეტი არაფერი იკითხება. ადექი და მე თვითონ მოვანდინე ამ სახელის მოდერნიზება— ვომ-სიტად მოვანთლე, თავი კი — ეგზოტიკის მოყვარულ ტურისტებად.

მასპინძლები დათოვილ ჭიშკართან შემომე- გებნენ. როგორც პაუკსები მიკლუსო მაკლავის, ისე შემომყურებდნენ. ძლივს გაბედეს ხელის ჩამორთმევა.

ჩუკავის კოვბოურა მეცვა, ელვა საკეტებით გადასაზულ-გადმოსაზული, გულის ჯიბესთან კერამიკული თავის ქალა მიქანავენდა, ჯინსზე შემოკრულ ბრტყელ ქაბარზე — მოკვეთილი მკლავი.

ძველებური სახლი ქვის კიბითა და მკვიდრი აუჯით თანდათან მარწმუნებდა, რომ ვოიმ- სიტმი ვივაგი, სუფრაზე რომ მიმწიფვის, ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი: შოთი, ლავანი, ნაზუ- ქი დაუჭრელად ეყარა, ყველი — ნაჩუნებად, ხაშლაძე, ჩაქაფული, მწვადი და მრგვლად მოხარული ყვითელი დედლები ეწყო სინებზე. ყველაფერი ნატურაში იყო წარმოდგენილი, არა- ფერს ეტყობოდა მეორეული გადაშეშვების კვალი. თაფლიც კი ფიჭიანი შემომთავაზეს, ასე ტკბილად დაგვიმბარდი!

ცივილიზებულ სამყაროს მიწვეულმა გულმა შემომკენეს! — ხანსაცლე თუ საუკმატე მოისა- კლისა!.. სახვიან-იმბირიანი ქაბაბი, გაყინულ- გადაშეშებული ფარშითა და მარგარინით შემ- ზადებული შნიცელი, წყლით საამოდ გაზავე- ბული ლუდი, ან წაწყობილი ლიმონათი, მაგი- დებზე შეგროვებული და საგაგებოდ ჩაივებუ- ლი!..

ესენი კი აქ ნატურალურ ღვინოს ყლურწავენ, ლიმონათის მაგიერ ბადავს მიირთმევენ აქაური მანდილოსნები და ყურძნის წვენით დამტკბარ ტუნებს ილოკავენ. ყველას საამაულო წარმოე- ბის ფესსაცმელ-ტანსაცმელი აცვია, ქალები ფრჩხილ-ტუნ-წარბ-წამწამ-თმაშუღებავები უს- სედან სუფრას. სამაგიეროდ მზით არიან დაბრა- წულეები. ლოკებ და კისერაინფილემულეები, ბუტკუენა ბავშვებს სათვალავი არ აქვთ. ამაზე მეტი ჩამორჩენილობა?! მოდურ უბავშვო ქორწინებაზე წარმოდგენა არა აქვთ!..

ღამით დიდ ოთახში მომასვენეს, თუ ამას მოსვენება ერქვა: ირგვლივ არც ერთი მექანი- ზებული ბგერა, გუნდურად მღეროდნენ სუფრულ სიმღერებს, მერე კი ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომ ყურები ამტკივდა.

უთენია გამოვედი ვარეთ, ცივა ენგუბადიანმა პაერმა სული შემისუთა, ლამის დამხარჩო, პირ- ზე ხელსახოცი ავიფარე და ქვემოთ დავეშვი!..

მეტროს ესკალატორმა ქალაქის ცენტრში ამო- მისროლა. თანაკურსელის მიერ შემოჩენებული ცელოფანის პარკი ისევე ხელში მეჭირა, ჩურჩხე- ლა ამოვიღე, ავტონისპექტორის კვერთხივით შევმართე და ასე ვიდექი, ქუჩის სმაურით მო- ხიბლული.

— იუზვარ, სივარეტი დამივადე! — მომესმა მშობლიური ხმა.

სივარეტის კოლოფი გავწოდე და საკონე- ლად მივიწიე.

— მე კი სულ არ მევახები! — მითხრა მეო- რემ, — რატომღაც მინდა, სახალწლოდ ვმ მურტალი სიფათი ვადავიკრასკო!

ჩურჩხელა შევაგებე და დიმილი მოვგვარე.

— ვას, ბიჭო, შეხე, რა ანტიკვარი დამირ- ტყა!.. მოიცა, მეც მოვილოცო! — ჯიბეში ხელი ჩაიყო და ერთი მუჭა ვაცქველფილი კანფეტი ჩამიჩხრილა.

მერე სხევიც შემომხვდნენ, ზოგს ჩირის ნაწვევები ვაჯახე, ზოგს ლოყაწითელი ვაშლი, ზოგს ჩამინი.

ათას ხელში გამოვლილი კანფეტებით ჯიბე- ებგატენილი ვადასავლელთან ვიდექი. წითელ შუქნიშანთან აურაცხელი მანქანა ქმნდა, ღრენ- და, ფრტუნებდა... მათ შემოთ ორთქლიანი კვამლი იფანტებოდა და შემთბარ პაერს ლურ- ჯად აზავებდა.

მე სიამოვნებით ვუსთაქვდი და ხმადალვა ვეალერსებოდი მანქანებს:

— თქვენი კარბიურატორი ვჭამე!.. კრესტავინა და რასპრედვალცი ზედ მივაყოლე!..

— მერე და, იგი, რა დაგიჯდება?


ქმაკაცი ამომდგომოდა ვვერდში, ბადურაში ნახევარდაბუტული ვალურჯებული ყვინილუ- ბი და ზემოდან თევზის კონსერვები ეწყო.

— გინდა, ჩანახშილზე დაგაბატოვებ, პაშტეტიც მაქვს, კილკასანე ვავსნი და დაკურტყათ ავა- რიონი, იმისთანაა, სულ ზვიროს ისერის, ასო- ბი რეცეპტია, ორი ერთზე!

შევხდე. ქმაკაცი კი ორა, თვით ცივილიზაცია მიწვდიდა ხელს. ცელოფანის პარკი სადღაც მივაგდე, მეგობარს ვაცქველფილი კანფეტები ჩავუყარე ჯიბეში და გულიანად შევიცინე:

— ასე ტკბილად დამიბარდი!..

ელვაჯუჯა კიარაბიშვილი



სატირისა და იუმორის ყო- რ- ნალი „ნიანგი“ №24 (1658) დეკემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მითავარი რედაქტორი
ზ ა უ რ ბ რ ლ ჯ მ ა ძ ი

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი).
ჭაბუკა ამირჯიბი, ნოზადი ბართია, ბორის გურგუ- ლია, ნოდარ ღუმბაძე, რე- ვაზ თვარაძე, ჭემალ ლო- ლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარ - რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან ხიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჭანსუფ ჩარკვიანი, თამაზ წიფვიძაძე, ნათი ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაცემა ასაწყობად 23. 11. 83 წ. ხელმოწერილია და საბეჭდად 16. 12. 83 წ. ქა- ლაღლის ზომა 60X90!, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე- ლი, 1,25, სააღრიცხვო-სავა- მომემლო თაბახი 1,7, სა- ქართილოს კბ ცქ-ის გა- მომემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა №2670. უშ 07330 ტირაჟი 138.300. ყურნალე გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მა- სალბი ავტორებს არ უბ- რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8 რუსთაველის პოსტოქტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქ- ტორის — 99-02-38, გან- ყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტ- მუშაკების — 99-02-38, მდივან - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористиче- ский журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

შანი 20 აპრილი
05დგანი 76137



ოთხმოცდაოთხ წელს ყველას ის გვინდა,
რომ გვუ კუანოდან შინ და გარეთაც
და რაკეტების ლაბირინთიდან
გამოაყვანოს ჩვენი პლანეტა!

83-832

ნახ. მ. აბაშიძისა

საახალწლო მეჯლისზე

ერთი მდიდარი კაცის ძალიან უყვარდა გასართობი ამბების მოსმენა. ვინც კი ეწვეოდა, შინაური იქნებოდა თუ უცხო, აუცილებლად უნდა ეამბა თავგადასავალი ანდა სხვისგან მოსმენილი რამე სახალისო შემთხვევა.

საახალწლოდ დიდმა საზოგადოებამ მოიყარა ზასთა თავი. საკმეღსა და სასმელს შეეჭეოდნენ და თან ხამხარულთ ამბებს უყვებოდნენ.

ერთი უცხო სტუმარი კუთხეში წყნარად მიმჯდარიყო და მათ საუბარში არ ერეოდა.

— გვიამბე რამე, მეგობარო! — სთხოვა მასპინძელმა.

— მე მხოლოდ ერთი სულელის ამბავი ვიცი და განა ასეთ მაღალ საზოგადოებაში გამოდგება სათქმელად? — მოიბოდიშა უცხო.

— რატომაც არა, თუ ხალაღობა!

— კეთილი! — მიუგო უცხო სტუმარმა და დაიწყო:

— ჩვენს ქალაქში ერთი კაცი ცხოვრობდა. იგი ცნობილი იყო თავისი სისულელითა და უცნაურობით. ერთხელ, ბაზარიდან რომ მოვლიოდი, წინ შემომხვდა. მე ჩიბეში ათი კვერცხი ჩავმაღე და ვკითხე:

— აბა, თუ მიხვდები, რა მიწყვია პალტოს ჩიბეში? თუ გამოიცნობ, კვერცხების ნახევარი შენი იყოს და თუ რაოდენობასაც მიხვდები, მაშინ ათივეს შენ მოგცემ!

სულელი ჩაფიქრდა და მომიგო:

— მე ყველაფრის მცოდნე ხომ არ გახლავართ, ჩემო ბატონო, როგორ უნდა გამოვიცნო, როცა თვალთ არ მინახავს?! ცოტათი მაინც მიმახვედრეთ!

— აბა, მაშ, მისმინე: საკვებად იყენებენ, გარსი თეთრი აქვს, გული კი — ყვითელი.

— მივხვდი, მივხვდი! — წამოიძახა სიხარულით სულელმა, — ეს არის ქორფა სტაფილო, რომელსაც გარშემო თეთრი ბოლოკი აქვს შემოწყობილი.

ყველა ხარხარებდა, განსაკუთრებით კი — მასპინძელი. როცა სიცილით გული იჭრეს და დაწყნარდნენ, მასპინძელმა ჰკითხა:

— მაინც რა გეწყო პალტოს ჩიბეში, რაზედაც ის შტერი ამდენ ხანს აწვალე?!

გერმანულიდან თარგმნა ზოტა ამირანაშვილმა